მანანა სანაძე

შესავალი მსოფლიო ისტორიაში

წიგნი I

მესამე გამოცემა

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2015

სახელმძღვანელოს შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის ისტორიის დეპარტამენტის პროფესორებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელისა და საქართველოს უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორის სამეცნიერო დარგში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ თამაზ ბერაძის ღვაწლი.

ცალკეული მონაკვეთების დამუშავებაში მონაწილეობდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლალი ფირცხალავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეა ქარჩავა, ანთროპოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინათინ ღუდუშაური.

დაიბეჭდა საქართველოში.

საავტორო უფლებები დაცულია.

მანანა სანაძე © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015

რედაქტორები:

კონსტანტინე თოფურია
ლალი ფირცხალავა
ცირა ჩიკვაიძე

ISBN 978-99940-50-70-3

საქართველო, თბილისი, 0175,
მ. კოსტავას 77ა.
ელ ფოსტა: ug@ug.edu.ge

სარჩევი

წიგნი I — ისტორიის დარგები 7

თავი I. პალეოგრაფია, ეპიფრაფიკა, დიპლომატიკა, წყაროთმცოდნეობა 7

§ 1. შესავალი - ისტორიის საგანი, ისტორიის წყარო 7

§2. პალეოგრაფია, დიპლომატიკა, სფრაგისტიკა, ეპიგრაფიკა 11

§3. წყაროთმცოდნეობა 16

თავი II. ისტორიული ქრონოლოგია 32

თავი III. ისტორიის პერიოდიზაცია 66

თავი IV. არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია 98

§ 1. არქეოლოგია 101

§ 2. ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია 104

თავი V. ისტორიული გეოგრაფია 130

თავი VI. ცივილიზაციისა და რელიგიის ისტორია 164

§ 1. ცივილიზაციის ისტორია 167

§ 2. რელიგიის ისტორია 173

თავი VII. ეკონომიკის ისტორია 192

§ 1. მეტროლოგია 195

§ 2. ფულის ისტორია 197

§ 3. ეკონომიკური განვითარების მახასიათებლები 200

§ 4. წარმოება და მწარმოებლურობა 206

§ 5. წარმოების განვითარების ეტაპები 209

§ 6. ეკონომიკის სტრუქტურა და სტრუქტურული ცვლილებები 212

§7. ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისი 217

თავი VIII. ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორია 222

თავი IX. სახელმწიფოს ისტორია 252

§ 1. სახელმწიფოს შესახებ თეორიები 255

§ 2. როგორ იცვლებოდა და ვითარდებოდა სახელმწიფო? 269

§ 3. გენეალოგია 280

§ 4. ჰერალდიკა 285

§ 5. პოლიტიკური რეჟიმები—ავტორიტარიზმი და დემოკრატია 286

§ 6. სახელმწიფოთაშორისი კავშირები და გაერთიანებები 287

თავი X. სამართლისა და დიპლომატიის ისტორია 290

§ 1. სამართლის ისტორია 293

§ 2 დიპლომატიის ისტორია 307

თავი XI. პოლიტიკური აზრის ისტორია 324

თავი XII. ისტორიული აზრის ისტორია – ისტორიოგრაფია 346

თავი XIII. ისტორიის ფილოსოფია 372

თავი I



ბერძენმა პოეტმა ჰომეროსმა დაწერა ეპიკური პოემები: „ილიადა“ და „ოდისეა“. ბერძნული მანუსკრიპტის ფრაგმენტი: „ილიადა“.

ჰეროდოტე ჰალიკარნასელი, ძველი ბერძენი ისტორიკოსი, მიჩნეულია „ისტორიის მამად“. ფრაგმენტი ჰეროდოტეს „ისტორიიდან“ პაპირუსი.

900 ძვ.წ.

500 ძვ.წ.

0

0

1822

ჟან-ფრანსუა შამპოლიონმა შეძლო ძველეგვიპტური იეროგლიფების გაშიფვრა. როზეტის ქვაზე. ქ. ფიჟაკში (საგრანგეთი), სადაც შამპოლიონმი დაიბადა, მის პატივსაცემად შექმნეს როზეტის მონუმენტური ქვა.

1926

ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი — „ქართული პალეოგრაფია“.

1800

1900

თავი I

მოგეთხოვებათ შემდეგი ცნებების, ტერმინებისა და სახელების ცოდნა

ცნებები და ტერმინები	**პირთა სახელები**
ისტორია	ჰეროდოტე
ისტორიის წყარო	ჟან ფრანსუა შამპოლიონი
წერილობითი წყარო	ჰენრი როულინსონი
სულიერი კულტურა	პროკოფი კესარიელი
მატერიალური კულტურა	მოვსეს ხორენაცი
პალეოგრაფია	სტრაბონი
დიპლომატიკა	ერატოსთენე
სფრაგისტიკა	პოლიბიოსი
ეპიგრაფიკა	
ქარაგმა	
ჭვირნიშანი	

მოამზადეთ პასუხები შემდეგ საკვანძო კითხვებზე:

1. რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიის ცოდნა?
2. რა არის ისტორიის კვლევის საგანი?
3. რა ეტაპები გაიარა დამწერლობამ განვითარების გზაზე?
4. რა არის პალეოგრაფიის, დიპლომატიკის, სფრაგისტიკის, ეპიგრაფიკისა და წყაროთმცოდნეობის კვლევის საგანი?
5. ტიპოლოგიურად რა შეცდომებს უშვებდნენ ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ისტორიკოსები თავიანთი თხზულებების წერისას?

წიგნი I — ისტორიის დარგები

პალეოგრაფია, ეპიფრაფიკა, დიპლომატიკა, წყაროთმცოდნეობა

§ 1. შესავალი

ისტორიის საგანი. ისტორია ძველი ბერძნული სიტყვიდან *ჰისტორია* წარმოდგება და გარდასულ ამბავთა თხრობას ნიშნავს. ძველი ბერძნულიდან „ჰისტორია/ისტორია“ სხვა ენებშიც, მათ შორის ქართულშიც, შემოვიდა და დღესაც, როდესაც გვინდა ვინმეს წარსულის შესახებ მოვუთხროთ, ვამბობთ: „გინდა მოგიყვე ამ ოჯახის, ადამიანის, ორგანიზაციის, შენობის და ა.შ. ისტორია?“

ძვ. წ. V ს-ის ბერძენმა სწავლულმა ჰეროდოტემ „ისტორია“ თავის თხზულებას უწოდა, რომელშიც ბერძენთა და სპარსელთა გარდასული ომები აღწერა. ამგვარად, ისტორიულ თხზულებას პირველად ეწოდა „ისტორია“. ეს სახელი მეცნიერების ამ დარგის აღსანიშნავად მალევე დამკვიდრდა. ამიტომ, **ჰეროდოტე** სამართლიანად მიიჩნევა ისტორიის მეცნიერების მამად და პირველ ისტორიკოსად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი ქართველი ისტორიკოსები თავიანთ ქმნილებებს „ისტორიას“ ნაკლებად არქმევდნენ და მათ ქართულად „ამბავს“, „ცხოვრებას“ ან „მატიანეს“ უწოდებდნენ. ამიტომაც ჰქვია ადრე შუა საუკუნეებში შექმნილ და შემდგომში (XI-XVIII სს-ში) განვრცობილ საქართველოს ისტორიის ამსახველ თხზულებას „ქართველთა ცხოვრება“.

თუ ჩვენ ისტორიას, როგორც მეცნიერების დარგს განვიხილავთ, ვნახავთ, რომ მისი კვლევის საგანი შეიძლება დავიწროვდეს ან გაფართოვდეს. ჩვენ შეიძლება შესწავლის საგნად დავისახოთ მთელი კაცობრიობის წარსული, ამას მსოფლიო ისტორია სწავლობს; ან რომელიმე კონტინენტი, თუ რეგიონი, მაგალითად, ევროპის, ან მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია, რაც, ბუნებრივია, დასახელებული რეგიონის ქვეყნების და იქ მცხოვრები ხალხების წარსულის შესწავლას გულისხმობს. ამას *რეგიონალური ისტორია* ეწოდება. ისტორიის ობიექტი ცალკეული ქვეყნის წარსულიცაა, მაგალითად, საქართველოს ისტორია, თურქეთის ისტორია, საფრანგეთის ისტორია და ა.შ. ზოგჯერ ისტორიკოსის კვლევის საგანს კონკრეტული ქვეყნის რომელიმე პროვინციის, ქალაქის, სოფლის, ციხე-სიმაგრის წარსული ან საზოგადოების ცალკეული ფენის, სამეფო დინასტიის, ცნობილი, თუ ნაკლებად ცნობილი საგვარეულოს წარსული წარმოადგენს.

სარჩევი:

§ 1. შესავალი - ისტორიის საგანი, ისტორიის წყარო ..... გვ. 7
§2. პალეოგრაფია, დიპლომატიკა, სფრაგისტიკა, ეპიგრაფიკა ..... გვ. 11
§3. წყაროთმცოდნეობა ... გვ. 16



ჰეროდოტე
ძვ. წ. 484-425

ჰეროდოტე იყო ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფო ჰალიკარნასიდან, ამიტომ მას ჰეროდოტე ჰალიკარნასელსაც ეძახდნენ. ბერძენ-სპარსელთა ომები ძვ. წ. 500-449. მიმდინარეობდა. ჰეროდოტემ ამ ომების მხოლოდ ძვ.წ. 500-478 წლების ისტორია დაწერა.

„ქართველთა ცხოვრებაში“ საქართველოს ისტორია გადმოცემულია უძველესი დროიდან XVII ს-ის ჩათვლით.

რას ნიშნავს კაცობრიობის წარსული ცხოვრების შესწავლა?

წარსულის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, მის რეკონსტრუქციას - აღდგენას გულისხმობს. ისტორიკოსმა უნდა წარმოაჩინოს, თუ როგორ და რას აწარმოებდა საზოგადოება მისი წარსული ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებში: როგორი შრომის იარაღები ჰქონდა; მეურნეობის რა დარგებს მისდევდა; რითი იკვებებოდა; როგორი საცხოვრებელი ჰქონდათ ადამიანებს; რითი იმოსებოდნენ; როგორი სახელმწიფო კანონები; ადათ-ჩვევები და რწმენა-წარმოდგენები წარმართავდა მათ ცხოვრებას; როგორი იყო სხვადასხვა ეპოქებში მეცნიერების განვითარების დონე: როგორ ხსნიდნენ სხვადასხვა ფიზიკურ მოვლენებს, როგორ აღიქვამდნენ სამყაროს; როგორი იყო ადამიანების გემოვნება - როგორი ხელოვნების ნიმუშები, რა ტიპის ლიტერატურული ნაწარმოებები იქმნებოდა; რა ურთიერთობები ჰქონდათ ადამიანებს მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან: როგორ ვაჭრობდნენ, რა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები იწვევდა ომებს თუ ამყარებდა მშვიდობას.

ისმის კითხვა: *რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანებისათვის ისტორიის, ანუ წარსულში მომხდარი ამბებისა და პროცესების ცოდნა?*

ისტორიის შესწავლას ადამიანები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ვინაიდან ისტორიის ცოდნა ადამიანთა საზოგადოებისათვის მეხსიერების ქონის ტოლფასია - საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლევა გააანალიზოს შორეულ თუ ახლო წარსულში ჩადენილი შეცდომები, ან მიღწეული წარმატებები, ამის გარეშე კი შეუძლებელია საზოგადოების წინსვლა.



პოლიბიოსი
ძვ. წ. 200-118

ძველი ბერძენი ისტორიკოსი. ავტორი ორმოც წიგნად დაწერილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიის.

წარსულის შემეცნებას, სხვა ყველა ცოდნაზე უფრო მეტად, შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ადამიანებს

„ჩვენთვის აუცილებელია ყველას მივმართოთ დარიგებით, შეისწავლონ და შეითვისონ ასეთი ხასიათის (იგულისხმება ისტორიული, რედ.) თხზულებები. რადგან წარსულის შემეცნებას, სხვა ყველა ცოდნაზე უფრო მეტად შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ადამიანებს.

...არა მარტო ესა თუ ის ისტორიკოსი ...არამედ, შეიძლება ითქვას, ყველანი იმ რწმენით იწყებენ და ასრულებენ, რომ ისტორიიდან ამოღებულ გაკვეთილებს ყველაზე უფრო მეტად მივყავართ განათლებისაკენ და გვამზადებენ საზოგადოებრივი საქმეების დაწყებისათვის. სხვა ადამიანების განცდილი არის დამაჯერებელი და ერთადერთი დარიგება, რომელიც გვასწავლის ვაჟკაცურად გადავიტანოთ ბედის ცვალებადობა. ამიტომ არავისათვის არ არის საჭირო, ყველაზე ნაკლებად კი ჩვენთვის, გავიმეოროთ ყოველივე ის, რაც სხვებმა უკვე კარგად თქვეს, იმიტომ, რომ ის გამორჩეული ამბები, რომლებზედაც ჩვენ საუბარს ვაპირებთ, თავისთავად მიიზიდავს ყველას - მოხუცია ის თუ ახალგაზრდა, ჩვენი თხრობის ყურადღებით წასაკითხად. სინამდვილეში, განა შეიძლება მოინახოს ისეთი ადამიანი, რომელიც არ ისურვებს გაიგოს, როგორ და რა საზოგადოებრივ დაწესებულებათა დროს თითქმის მთლიანად მოექცა ჩვენი ქვეყანა (იგულისხმება საბერძნეთი, რედ.) ერთიანი რომის ხელისუფლების ქვეშ? არასოდეს ადრე არ ყოფილა ამის მსგავსი და ნუთუ შეიძლება ვინმე, იმდენად გატაცებული იყოს სხვა სანახაობებით, ან კიდევ მეცნიერების სხვა დარგებით, რომ არ დაინტერესდეს შეთავაზებული ცნობებით?

პოლიბიოსი, მსოფლიო ისტორია

რის საფუძველზე შევისწავლით და როგორ აღვადგენთ საზოგადოების წარსულში განვლილ გზას, ანუ ისტორიას?

ისტორიის წყარო. ისტორიას მეცნიერები გარკვეული მასალების საფუძველზე აღადგენენ. ასეთ მასალას ისტორიის წყარო ეწოდება. წყაროდ წარსულის ნაშთი თავისთავად არ ხდება. მას ისტორიულ წყაროდ აქცევს ადამიანი, რომელიც წარსულში მომხდარი ამბების აღდგენის, შემეცნების, თუ უკეთ გაგების მიზნით მის შესწავლა-გამოყენებას იწყებს. ისტორიული წყაროა ყველაფერი ის, რაც ადამიანის, ან ადამიანთა საზოგადოების წარსული ცხოვრებიდან შემოგვრჩა და, რასაც ისტორიის რომელიმე დარგის სპეციალისტი, გარდასული ამბების შესასწავლად იყენებს. სხვაგვარად ყოველივე ამას *სულიერი და მატერიალური კულტურის ნაშთებს* ან *ძეგლებსაც* ვუწოდებთ.

საზოგადოების წარსულის შესწავლისას ისტორიის წყაროდ იქცევა მიწისქვეშ თუ მიწის ზემოთ არსებული ძველი შენობების, გზების, ხიდების და ა. შ. ნაშთები, მონეტები, საყოფაცხოვრებო ნივთები. მათ შორის სამკაული, შრომის და ბრძოლის იარაღი, ხელოვნების ნიმუშები, საკრავი ინსტრუმენტები, საწერი საშუალებები და წერილობითი ძეგლები: სხვადასხვა შინაარსის ხელნაწერი, თუ ნაბეჭდი წიგნები. მაგალითად, კანონთა კრებულები, ისტორიული, რელიგიური თუ ლიტერატურული თხზულებები; დოკუმენტები: მეფეთა თუ სხვა თანამდებობის პირთა ბრძანებები, გარი-

ილია ჭავჭავაძე
(1937 -1907)

ქართველი პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე

ისტორია ღიღჭული ტაძარია, საცა უწირავს ერთიანს სულსა ერისას

ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისი ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაც. წარსული - მკვიდრი საძირკველია აწყმოსი, როგორც აწყმო - მომავლისა. ... ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძენისაგან, რომ: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისა“-ო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი.

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია და, თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი და თუ ესეა - რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?

... ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიანს სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ... თავის დიდ ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან - ჭირია თუ ლხინია. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითით და ანდერძითა და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში.

დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქებენ, ამხნევებენ, ... ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს.

ილია ჭავჭავაძე, ერი და ისტორია

გებები, ყიდვა-გაყიდვის აქტები, დაბადებისა და გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციის აქტები, სხვადასხვა ხასიათის დავთრები; დღიურები, მემუარები (მოგონებები), ჟურნალ-გაზეთები; ხალხური ზეპირსიტყვიერება: ლექსები, ზღაპრები, თქმულებები, ანდაზები, იგავ-არაკები და ა. შ. ამა თუ იმ ენის სიტყვიერი მასალა, ანუ ლექსიკა. უახლესი ისტორიის შესწავლისას წინ იწევს ისეთი წყაროები, როგორიცაა დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები, ტელეარქივები, სხვადასხვა სახის ვიდეო და აუდიო მასალა, მასმედია.

სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნას ისტორიული წყაროს მრავალფეროვნებაზე, მოვიყვანთ ერთ მაგალითს: იმისათვის, რომ გაეგოთ, რითი იკვებებოდნენ ძველი რომაელი ლეგიონერები (ჯარისკაცები), მეცნიერებმა გათხარეს მათი ბანაკები და იქ საპირფარეშოების ადგილას დაცული მიწადქცეული ნაშთის ბიო-ქიმიური ანალიზით, დაასკვნეს, რომ ბრძოლაში გამოწრთობილი ამ პროფესიონალი მეომრების ძირითადი საკვები ყოფილა არა ხორცეული, როგორც ეს შესაძლოა წარმოგვედგინა, არამედ ხორბლეულის ფაფა.

ასეთი მრავალფეროვნების მიუხედავად, ისტორიის წყაროს, კლასიფიკაციის თვალსაზრისით, ორ დიდ კატეგორიად ჰყოფენ: *წერილობითი წყაროები* და ადამიანის მიერ შექმნილი დანარჩენი *მატერიალური* თუ *სულიერი კულტურის ძეგლები*. ეს კატეგორიები შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ: წერილობითი წყარო ისტორიის ისეთი წყაროა, რომლის მეშვეობით ადამიანი თვითონ უშუალოდ გვატყობინებს ან მოგვითხრობს თავის თავზე, ან იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ის ცხოვრობს. ამავე რიგის ძეგლებს უნდა მივაკუთვნოთ დოკუმენტური ფილმები, ტელე-არქივები და ვიდეო, თუ აუდიო მასალა. მატერიალური, თუ სულიერი კულტურის ძეგლები ადამიანის მიერ შექმნილი ფასეულობებია, რომლებიც მოგვითხრობენ მათ შემქმნელზე და იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ისინი შეიქმნენ.

სხვადასხვა სახის ისტორიული წყაროები

მცხეთაში ნაპოვნი ებრაული საფლავის ქვები

ჩვილის საკვები თიხის ჭურჭელი
ანტიკური საბერძნეთი.
ძვ. წ. VI-IV სს.

კაცობრიობამ დღემდე რთული და მრავალფეროვანი ცხოვრების გზა განვლო. წარსულში საზოგადოების ცხოვრების სრული სურათის აღდგენა შეუძლებელია მისი მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მხარის შესწავლით. ამიტომაა, რომ საზოგადოების წარსულს ისტორიის არაერთი დარგი სწავლობს, რომელთა შესწავლის ობიექტი წარსულიდან შემორჩენილი სხვადასხვა სახის წყაროა. ისტორიის დარგებს, ტრადიციულად, *ძირითად*, ანუ *მთავარ* და *დამხმარე* დარგებად ჰყოფენ.

აქედან: არქეოლოგია, ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, ანთროპოლოგია, ისტორიული გეოგრაფია, ცივილიზაციის ისტორია, ეკონომიკის ისტორია, რელიგიის ისტორია, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ისტორიის ფილოსოფია - *მთავარ*, წყაროთმცოდნეობა, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, სფრაგისტიკა, ჰერალდიკა, გენეალოგია, ნუმიზმატიკა, ისტორიული მეტროლოგია, ისტორიული ქრონოლოგია კი ისტორიის *დამხმარე* დარგებადაა მიჩნეული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი დაყოფა ფრიად პირობითია. მეცნიერთა შორის ერთი აზრი ამ საკითხის ირგვლივ სულაც არ არსებობს. ის, რასაც ისტორიკოსთა ერთი ნაწილი *დამხმარე დარგად* მიიჩნევს (მაგალითად, წყაროთმცოდნეობა), სხვათა აზრით, დამხმარეს კნინობით სახელს სულაც არ იმსახურებს და ა. შ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქვემოთ ისტორიის ამ დარგების დახასიათება-განხილვისას, მათ ყოველგვარი ეპითეტის გარეშე, უბრალოდ, „ისტორიის დარგებად“ მოვიხსენიებთ.

§ 2. პალეოგრაფია, დიპლომატიკა, სფრაგისტიკა, ეპიგრაფიკა

დამწერლობის სისტემები. ცოდნის დაგროვების გარკვეული ეტაპიდან ადამიანს გაუჩნდა საჭიროება თავისი გამოცდილება უფრო საიმედო გზით გადაეცა, ვიდრე ამის საშუალებას ზეპირსიტყვიერება იძლეოდა. ამან დამწერლობის წარმოშობა განაპირობა.

თავდაპირველად ადამიანმა უმარტივესი ხატოვანი დამწერლობა, ანუ *პიქტოგრაფია* შექმნა. ხატოვანი დამწერლობის განვითარებამ *იეროგლიფური დამწერლობა* წარმოქმნა, სადაც გარკვეული ხატოვანი გამოსახულება ერთ სიტყვას (ცნებას) შეესაბამება. *იეროგლიფური დამწერლობა* ძვ. წ. IV-III ათასწლეულში წარმოიშვა. მას იყენებდნენ ისეთი უძველესი ხალხები, როგორებიც იყვნენ, ძველი ეგვიპტელები, ჩინელები და სხვ. ჩინეთსა და იაპონიაში იეროგლიფური დამწერლობა დღემდე შემორჩა. ძველი ეგვიპტელები იეროგლიფებით წერდნენ როგორც ქვაზე, ისე პაპირუსზე. ეს დამწერლობა XIX ს-ის I ნახევარში დიდმა ფრანგმა მეცნიერმა

ჟან ფრანსუა შამპოლიონი
1790-1832



ჰენრი როულინსონი
(1810 – 1895)

ბრიტანელი არქეოლოგი და ლინგვისტი.

ფრანსუა შამპოლიონმა გაშიფრა, რაც იმ დროს მეცნიერების უდიდეს მიღწევად იქნა მიჩნეული.

დამწერლობის განვითარების შემდგომ საფეხურს *ლურსმული დამწერლობა* წარმოადგენს. ასეთ დამწერლობას იყენებდნენ წინა აზიის ხალხები — ძველი შუმერები, ასურელები, ხეთები; ჩვენი წინაპრების სამხრეთელი მეზობლები ურარტუელები. ეს დამწერლობებიც ძირითადად XIX ს-ში გაიშიფრა. ლურსმული დამწერლობის წაკითხვაში განსაკუთრებული დამსახურება ინგლისელ **ჰენრი როულინსონს** (არქეოლოგი და ლინგვისტი) მიუძღვის. ლურსმულ დამწერლობაში ცალკეული ნიშნით უკვე მარცვალია გადმოცემული. ლურსმულით წერდნენ როგორც ქვაზე, ისე თიხის ფირფიტებზე. დღეს ასეთი თიხის ფირფიტების მთელი ბიბლიოთეკებია აღმოჩენილი.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, დღევანდელი ისრაელის ჩრდილოეთით ძვ. წ. II-I ათასწლეულებში ფინიკიელები სახლობდნენ. ფინიკიელები მსოფლიო ისტორიაში ცნობილი პირველი ხალხი იყო, რომელმაც დიდი საზღვაო სავაჭრო კოლონიები შექმნა.

თავიანთი სავაჭრო-საფინანსო ჩანაწერებისათვის მათ უფრო მარტივი და მოსახერხებელი დამწერლობა ესაჭიროებოდათ, ვიდრე ეს ლურსმული მარცვლოვანი დამწერლობა იყო. ამიტომ, ძველმა ფინიკიელებმა ლურსმული დამწერლობიდან *ანბანური დამწერლობა* შექმნეს, სადაც თითოეულ ბგერას თითო ასო-ნიშანი შეესაბამება. ფინიკიური დამწერლობის პირველი ნიმუშები ძვ. წ. XII-XI სს.-დან შემოგვრჩა.

ფინიკიელებმა ასეთი ასო-ნიშნები მხოლოდ თანხმოვნებს მიუსადაგეს. დასრულებული სახე ანბანურ დამწერლობას ძველი მსოფლიოს კიდევ ერთმა, მეზღვაურობითა და ვაჭრობით განთქმულმა ხალხმა - ძველმა ბერძნებმა მისცეს, რომლებმაც ფინიკიურ ანბანს ხმოვნების აღმნიშვნელი ასო-ნიშნებიც დაუმატეს. ძველი ბერძნული დამწერლობის პირველი ნიმუშები ძვ. წ. IX-VIII სს-დან შემოგვრჩა. თავდაპირველად ძველი ბერძნები, ფინიკიელების მსგავსად, მარჯვნიდან მარცხნივ წერდნენ შემდგომ კი მარცხნიდან მარჯვნივ წერაზე გადავიდნენ.

ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელების პიქტოგრაფიული დამწერლობა

ეგვიპტური იეროგლიფები

დღეისათვის მსოფლიოში 14 ძირითადი დამწერლობაა. 11 ამათგან ანბანურია: ქართული, ბერძნული, ლათინური, სლავური (კირილიცა), სომხური, არაბული, ებრაული, სირიული, ეთიოპური, ინდური, ძველი მონღოლური (იუგურული); სამი დამწერლობა კი იეროგლიფურია: ჩინური, იაპონური და კორეული.

ბერძნულიდან ანბანი ბევრმა ძველმა ხალხმა გადაიღო, მათ შორის ლათინებმა (რომაელებმა). ლათინური ანბანი საფუძვლად დაედო თანამედროვე დასავლეთ ევროპული ქვეყნების ანბანებს. ბერძნულიდან მოდის IV ს-ში შექმნილი ძველი ქართული და სომხური ანბანები, IX ს-ში ბერძნულის საფუძველზე შეიქმნა ძველი სლავური ანბანი. მისი განვითარებაა დღევანდელი რუსული ანბანი.

ფინიკიურმა ანბანმა საფუძველი დაუდო ძველად მთელ წინა აზიაში გავრცელებულ არამეულ დამწერლობას, რომელიც ფინიკიურის მსგავსად არ შეიცავდა ხმოვან ასონიშნებს და მარჯვნიდან მარცხნივ იწერებოდა. არამეულით შესრულებული პირველი წერილობითი ძეგლები ძვ. წ. IX ს-დანაა შემორჩენილი.

არამეულიდან განვითარდა არაბული დამწერლობა, რომელსაც არამეულის ეს ორივე ნიშანი ახასიათებს. არაბული დამწერლობა ძველად ყველა მუსლიმურ ქვეყანაში იყო გავრცელებული. ამჟამად არაბულ ანბანს, ძირითადად, საკუთრივ არაბული ქვეყნები და ირანი იყენებს.

ანბანის გაჩენისთანავე ადამიანებმა მნიშვნელოვანი მოვლენების ჩაწერა დაიწყეს, ასე გაჩნდა პირველი ისტორიული თხზულებები, სხვადასხვა დოკუმენტები, მათ შორის ყიდვა-გაყიდვის აქტები, საგადასახადო თუ ქონების აღნუსხვის დავთრები და სხვ.

ისტორიკოსი, როდესაც საზოგადოების წარსული ცხოვრების აღდგენა-რეკონსტრუქციას ცდილობს, ბუნებრივია, მეცნიერების ყველა ზემოთჩამოთვლილი დარგის მონაცემებს ითვალისწინებს, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მისთვის მაინც წერილობითი წყაროების მონაცემებია. ჩვენს კომპიუტერულ ეპოქაში ძნელი წარმოსადგენია თუ რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული ძველი ხელნაწერებისა და



პალეოგრაფია ორი ბერძნული სიტყვის “პალეოს” (ძველი) და “გრაფოს” (წერა) შეერთებითაა მიღებული და შეისწავლის წერილობითი წყაროების გარეგან მხარეს.

ჩინური იეროგლიფები



ბერძნული ანბანი



არაბული ანბანი

წარწერების წაკითხვა. ამ საქმეში მას პირველ რიგში ისტორიის დამხმარე დარგი ***პალეოგრაფია*** ეხმარება.

პალეოგრაფიის მკვლევარები სწავლობენ სხვადასხვა ეპოქებში რითი წერდნენ და რას იყენებდნენ საწერ მასალად ადამიანები, როგორი იყო ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში ასოთა მოყვანილობა.

მართლაც, ადამიანი თავდაპირველად საწერად სხვადასხვა მაგარ მასალას იყენებდა. ძირითადად ეს იყო ქვა, ხე, თიხის ფირფიტები. ეგვიპტეში ბუნებრივად იზრდებოდა პაპირუსი, ამიტომ საწერად ჩვეულებრივ ქვასთან ერთად პაპირუსიდან დამზადებულ მასალას იყენებდნენ. ქართულად მას ჭილი ეწოდება. ბევრად უფრო გვიან გაჩნდა საქონლის ტყავის საწერ მასალად დამუშავების ტექნოლოგია. ევროპაში ასეთ მასალას პერგამენტი, საქართველოში - ეტრატი ერქვა. V ს-ში ჩინეთში ქაღალდის დამზადების ტექნოლოგიაც აითვისეს. ამ ტექნოლოგიას უკვე VII-VIII სს-ში არაბები ინდოეთში ეზიარნენ. ევროპაში ქაღალდი ცნობილი XI-XII სს-ში გახდა, თუმცა მან საბოლოოდ ეტრატი საკმაოდ გვიან, XV-XVI სს-ში გამოდევნა.

არანაკლებ საინტერესოა კალმის ისტორია. ლითონის კალმებამდე ადამიანები საწერად ბრინჯაოს წამახულ ჩხირებს (სტილოსებს) იყენებდნენ, რომლითაც თიხის სველ ფირფიტებსა და ცვილით დაფარულ დაფებზე წერდნენ. მელანი და ლითონის კალამი ანტიკური ხანიდან შემოვიდა, თუმცა ლითონის სიძვირის გამო თითქმის XVI-XVII საუკუნეებამდე საწერად უმთავრესად ბატის ფრთას იყენებდნენ.

სხვადასხვა მასალაზე და სხვადასხვა კალმებით წერა ასოთა მოხაზულობასაც თავის დაღს ასვამდა. მოხაზულობა იცვლებოდა საუკუნეების, ხანდახან ერთი და იგივე საუკუნის სხვადასხვა პერიოდებშიც კი. მის ცვლილებაზე დიდ გავლენას ახდენდა ამა თუ იმ ხანის საზოგადოების გემოვნებაც, წერის იმ ხანად გავრცელებული მანერა, ტრადიციები და სხვ. ხანდახან რეგიონი, ქალაქი, მონასტერიც კი ასოთა მოხაზულობის თავისებურ სტილს შეიმუშავებდა ხოლმე. იყვნენ ცნობილი *კალიგრაფები*, რომლებიც მათ მოწაფეებ-

ლათინური ანბანი



სლავური ანბანი (კირილიცა)

თან ერთად ასოთა მოხაზულობის მათთვის დამახასიათებელ სტილს ნერგავდნენ.

გაკრული ხელით დაწერილი ტექსტების გარჩევა და ამოკითხვა სპეციალურ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძველად საწერი მასალა: ჭილი, ეტრატი, ქაღალდი ძვირი ჯდებოდა და საზოგადოება მას ფრიად შეზღუდული ოდენობით აწარმოებდა. ასეთ ვითარებაში ადამიანები ცდილობდნენ მაქსიმალურად ეკონომიურად გამოეყენებინათ საწერი ფართობი, რისთვისაც სიტყვებს აქარაგმებდნენ. დაქარაგმება სიტყვის ნაწილის გამოტოვებას გულისხმობს. ბუნებრივია, აქარაგმებდნენ იმ ეპოქისათვის კარგად ცნობილ სიტყვებს, ხშირად საკუთარ სახელებს, წოდებებს, თანამდებობის აღმნიშვნელ ტერმინებს. მაგრამ ის რაც რომელიღაც ეპოქაში კარგად ცნობილი და გასაგები იყო, სულაც არაა ასეთივე იოლად გასაგები დღეს და, ბუნებრივია, პალეოგრაფს დამატებით სირთულეს უქმნის. მაგალითად, ძველ ქართულ ტექსტებში ხშირად იხმარება ქარაგმები: „ოო“, რაც „უფალო“-ს ნიშნავს (ძველ ქართულში „უ“ ასონიშანი არ არსებობდა. და მას „ოჳ“ აღნიშნავდა, ანუ იწერებოდა „ოჳფალო“), ან კიდევ „იი“ - იყავნ, იყავნ; „იო“ - იესო, „ქე“ - ქრისტე და ა. შ. ამა თუ იმ ეპოქაში გაავრცელებული ასოთა მოხაზულობის, ქაღალდის ხარისხის, ან **ჭვირნიშნის** მიხედვით, პალეოგრაფები დაუთარიღებელი ტექსტების დათარიღებას ახერხებენ.

ქარაგმა არის პირობითი ნიშანი, რომელიც ძველ ტექსტებსა და ნაწერებში შემოკლებით დაწერილ სიტყვებს თავზე ესმის.

დაქარაგმებული კავშირები: რ˜ (რამეთუ), ხ˜ (ხოლო), ა˜დ (არამედ), ვ˜ი ვიდრე); ნაცვალსახელები: რ˜ლი, რლ˜ნ (რომელმან), ყ˜ლი (ყოველი).

ჭვირნიშანი — საგანგებო ნიშანი, გამჭვირვალე გამოსახულება ქაღალდზე, რომელიც მხოლოდ სინათლეზე გახედვისას ჩანს. ჭვირნიშანი პირველად XIII საუკუნეში იტალიაში დამზადებულ ქაღალდზე გვხვდება.

ურარტუს მეფის მენუას კლდეზე ამოკვეთილი წარწერა (ძვ. წ. IX ს. დასასრული და VIII ს. დასაწყისი)

,,ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით დიაუეხის ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა სალაშქროდ მენუა იშუინის ძე; წინ უძღოდა მას ღვთაება ხალდი. მენუა ამბობს: დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი/ქვეყანა გადავწვი, ციხე-სიმაგრეები დავანგრიე. მივედი შეშეთის ქვეყანამდე, ქალაქ ზუამდე. ქალაქი უტუხაი ...მენუა ამბობს: უტუფურში, მეფე დიაუხისა მოვიდა ჩემს წინაშე, მომეხვია ფეხებზე, პირქვე დაემხო; მე მას მოწყალედ მოვექეცი - შევიწყალე იგი ხარკის გადახდის პირობით. მომცა მან ოქრო და ვერცხლი, მომცა ხარკი. ის ტყვეები, რომლებიც იყვნენ მასთან, დამიბრუნა მან მთლიანად.

მენუა ამბობს: მეფეები მე იქიდან მოვაცილე - ბალთულხის ქვეყნის მეფე და ქალაქ ხალდირიულხის ქვეყნის მეფე. გამაგრებული ციხეები, რომლებიც კი იყო იმ ქვეყანაში, მე იქიდან მოვგლიჯე.

მენუა ამბობს: ვიმც ამ წარწერას მოსპობს, ვინც მას გასტეხს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, სხვა ვინც იტყვის: „მე გავაკეთე ყველაფერი ეს“, დაე, მოსპონ ღვთება ხალდიმ, ღვთაება შივინიმ, ყველა ღვთაებამ ამ მზის ქვეშ“.

რა მხარეში ლაშქრობდა მენუა?

ურარტუს მეფის მენუას ამ ლაშქრობას ადგილი ჰქონდა ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში. ამას მის მიერ დაპყრობილი რეგიონები მოწმობენ:

დიაუხის ქვეყანა - ქართული ისტორიული ქვეყანა ტაო

შეშეთის ქვეყანა - ქართული ისტორიული ქვეყანა შავშეთი